ხვალ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

მშვიდობა და ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლოგინი

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 64 (1390) ○ კვირა, 31 მაისი, 1959 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

დღეს!

„დინამოს“ სტადიონზე აღიმართება მოსწავლეთა XI რესპუბლიკური სპარტაკიადის ალამი!

საზეიმო გახსნა 16 ს. და 30 წ.

წინაა გადამწყვეტი ბრძოლები

დასასრულს უახლოვდება ევროპის პირველობა კალათბურთში. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ძლიერად ჩაატარა ნახევარფინალური შეხვედრები და მოიგო სამივე მატჩი: პოლონეთთან 78:59 (28:23), ბულგარეთთან 66:60 (პირველი ნახევარი ჩვენმა გუნდმა წააგო 4 ქულით — 34:38) და უნგრეთთან — 69:60.

ამ ნახევარფინალური ჯგუფიდან შემდგომი ბრძოლის უფლება მოიპოვეს უნგრელმა კალათბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს პოლონელი (63:56) და ბულგარელი (67:52) სპორტსმენები.

წაუგებლად ჩაატარა ნახევარფინალური მატჩები საფრანგეთის ნაკრებმაც. მან თავის ჯგუფში დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა ჩეხოსლოვაკია. ეს გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ევროპის ჩემპიონის ტიტულისათვის.

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: ბულგარეთი-პოლონეთი — 69:57, ჩეხოსლოვაკია-ბელგია — 76:49, საფრანგეთი-რუმინეთი — 61:52, საფრანგეთი-ბელგია — 66:63, ჩეხოსლოვაკია-რუმინეთი — 66:59, საფრანგეთი-ჩეხოსლოვაკია — 52:49, ბელგია-რუმინეთი — 79:77.

პირველი ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
სსრ კავშირი	3	3	0	3
უნგრეთი	3	2	1	2
ბულგარეთი	3	1	2	1
პოლონეთი	3	0	3	0

მეორე ჯგუფი

საფრანგეთი	3	3	0	3
ჩეხოსლოვაკია	3	2	1	2
ბელგია	3	1	2	1
რუმინეთი	3	0	3	0

ლუცერნის რინგზე

მეოთხედფინალური შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო იყო ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონის ვ. სტოლნიკოვისა და ძლიერი მოკრივის მ. დობრესკუს (რუმინეთი) შეხვედრა უმჩატეს წონაში. მაყურებელთა სიმპათიები რუმინელის მხარეზე იყო, ვინაიდან მან წინა დღეს კარგ სტილში მოუგო ძლიერ მეტოქეს ჰ. კუკერს (პოლონეთი).

ბრძოლა დაიწყო რუმინელის შეტევით, მაგრამ ვ. სტოლნიკოვი კარგად იცავდა თავს და ხშირი სერიებით აღწევდა მიზანს. მსაჯებმა გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენს მიანიჭეს. ქვემძიმე წონაში ლ. სენკინმა ნოკაუტით დაამარცხა უკრაუზე (გდრ). ამ წონითს კატეგორიაში ფინალში გასვლისათვის იბრძოდნენ ევროპის ჩემპიონი გ. ნეგრია (რუმინეთი) და იტალიელი დ. სარაუდი. ნახევარფინალში გავიდა აგრეთვე ო. გრიგორიევი (მჩატე წონა), რომელიც შეხვდება მ. მიტროვიჩს (იუგოსლავია) და ვ. ენგიბარიანი (პირველი ქვესაშუალო წონა). ეს უკანასკნელი იბრძოლებს შოტლანდიელ რ. კეინის წინააღმდეგ. საბჭოთა სპორტსმენმა რ. ტამულისმა კარგად დაიწყო ბრძოლა ევროპის ორგზის ჩემპიონთან ლ. დროგოშთან. მეორე რაუნდის დასაწყისში დაიზიანა წარბი და მსაჯებმა შეწყვიტეს ბრძოლა. გამარჯვება მიენიჭა პოლონელს. გ. კოკოშკინმა (სსრკ) წააგო გერმანელ ჰ. ჰერპერთან.



რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში, სადაც მიმდინარეობს შეჯიბრება, ამ დღეს ჩვეულებრივზე უფრო მეტი მაყურებელი იყო. გაფრინდაშვილმა ბლაგიძესთან გამარჯვებით თავი გაახსენა თავის მრაჟალრიცხოვან გულშემატკივრებს, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ მის მონაწილეობას რესპუბლიკის ჩემპიონატში ვაჟთა შორის. ცხადია, X ტურში ყურადღების ცენტრში იყო მისი პარტია გიორგაძესთან.

ბრძოლა დაიწყო ფრანგული დაცვით. გაფრინდაშვილმა (თეთრები) დებიუტში უპირატესობა მიიღო, მაგრამ გიორგაძის გრძელი როქის შემდეგ თამაში ძალზე გამწვავდა. ნათელი გახდა, რომ სტრატეგიაში გაფრინდაშვილს მარცხი ელოდა და მან გონივრულად წამოიწყო ტაქტიკური ბრძოლა, რომელშიც იგი მეტად ძლიერია. ორი პაიკის შეწირვით მან მძაფრად შეუტია შავების მეფეს. გიორგაძე ზუსტად იცავდა თავს.

ამასობაში დამთავრდა ორი პარტია. ლომაიამ წააგო ბრეიტმანთან, ხოლო ბუსლაევმა მოუგო ჯანოევს.

გიორგაძის გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მოახლოებულ ციტნოტში გაფრინდაშვილი გონებამახვილური მანევრებით მაქსიმალურად იყენებდა თავისი ფიგურების აქტივობასა და გიორგაძის არაზუსტ თამაშს. იგი ლაზიერით და ეტლით შეიჭრა შავების განლაგებაში. პარტია გადაიდო, სადაც გაფრინდაშვილს სამი პაიკი აკლდა. გულდასმითმა ანალიზმა ცხადყო, რომ გიორგაძე იძულებულია დათმოს ლაზიერი ეტლში, რის შემდეგ გაფრინდაშვილი ადვილად აღწევს ყაიმს მუდმივი ქიშით. ამიტომ მოწინააღმდეგენი მეორე დღეს ყაიმზე შეთანხმდნენ.

ტურნირში დიდი პოპულარობით სარგებლობს ესპანური პარტია, რომელიც რთულ თამაშს წარმოშობს. ასეც მოხდა დემურიანჭანტურიასა და იზვოზჩიკოვ-შიშოვის შეხვედრებში. დემურიამ ჭანტურიასთან ნაცვლად ნელი პოზიციური შეტევისა, მცდარ სტრატეგიას მიმართა. მან გახსნა ცენტრი და ისე დაესხა შავების მეფის ფრთას. ჭანტურიამ მძლავრი კონტრთამაშით ცენტრში უკან დაახევინა დემურიას ფიგურებს და გაიმარჯვა. უფრო სწორი აღმოჩნდა იზვოზჩიკოვი, რომელმაც მხოლოდ ცენტრის ჩაკეტვის შემდეგ შეუტია შავების მეფეს. მართალია, შიშოვმა ლაზიერის ფრთაზე წამოიწყო საპასუხო შეტევა, მაგრამ იგი მალე ჩიხში მოექცა. შემდგომ შიშოვი გამოეთხოვა ფიგურას და პარტია გადაიდო.

მწვავე შეტაკება მოხდა წერეთელ-მეგრელიშვილის პარტიაში. ხარისხის დაკარგვის შემდეგ წერეთელმა დაკარგა ფარხმალი. მხოლოდ მეორე დღეს შეთანხმდნენ ყაიმზე გურგენიძე და გამრეკელი.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

ბევრი გაკვირვებული დარჩა, როცა XI ტურში უკვე მე-14 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ გამრეკელი და ბუსლაევი. ყაიმით დამთავრდა სხვა შეხვედრებიც (შიშოვ-გურგენიძე, გიორგაძე-თურქესტანიშვილი, ბლაგიძე-იზვოზჩიკოვი), მაგრამ მათში დაზავება მოხდა, მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურა რთული თამაშის პერსპექტივები.

გაფრინდაშვილმა კვლავ ისახელა თავი. ჭანტურიამ სიცილიურ დაცვაში საეჭვოდ წამოწია თავისი ყველა პაიკი. ხელსაყრელ მომენტში გაფრინდაშვილმა გახსნა თამაში, რასაც მოჰყვა ჭანტურიას პოზიციის სისუსტეთა გამოაშკარავება. ლაზიერის ფრთაზე მოჭადრაკე ქალმა მხედრისათვის დასაყრდენი უჯრა მოიპოვა, ხოლო ლაზიერით ჭანტურიას ბანაკში შეჭრის შემდეგ სწრაფად დაამსხვრია აჭარის ჩემპიონის პოზიცია. 41-ე სვლაზე ჭანტურია დანებდა. ლომაიამ დაბოლოებაში თამაშის გადაყვანით ოსტატურად მოუგო წერეთელს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. დემურიას საგრძნობი უპირატესობა აქვს მეგრელიშვილთან, მაჭავარიანს პაიკი აკლია ჯანოევთან, ვეტოხინ-ბრეიტმანის შეხვედრაში მოსალოდნელია ყაიმი.

გადადებული პარტიების დამთავრებისას თურქესტანიშვილმა დაამარცხა ბლაგიძე, ხოლო დემურიამ — მეგრელიშვილი. ყაიმით დამთავრდა იზვოზჩიკოვ-შიშოვის, აგრეთვე მაჭავარიანის პარტიები ვეტოხინსა და ჯანოევთან. კვლავ გადაიდო ვეტოხინ-ბრეიტმანის პარტია პირველის უპირატესობით.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ წინ არიან ბ. გურგენიძე (9 ქულა), ა. ბუსლაევი (8,5 ქულა), გ. მაჭავარიანი (7 ქულა), თ. გიორგაძე (6,5 ქულა), ი. ვეტოხინი (6 ქულა და ერთი გადადებული პარტია), ა. ბლაგიძე, ნ. გაფრინდაშვილი, დ. ჯანოევი (6 ქულა თვითეულს).

ლიდერობს მ. ტალი

ციურიხის საერთაშორისო ტურნირში უკვე გათამამდა რვატური. ლიდერობისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდება ტალს, ფიშერს, კერესსა და გლიგორიჩს შორის.

VII ტურში სამართლიანად დიდი ინტერესი გამოიწვია ტალის შეხვედრამ კელერთან. ტალი თითქმის ყოველ სვლაზე სწირავდა პაიკს ან ფიგურას და ყოველი შეწირვა თამაშზე დამსწრე მაყურებელთა ტაშს იწვევდა. აი ეს პარტიაც, რომლის გამო ტალს ციურიხში „გენიალური მოჭადრაკე“ უწოდეს.

პრეტენდენტთა შეხვედრებიდან აღსანიშნავია გლიგორიჩის გამარჯვება ოლაფსონთან და ყაიმი კერესსა და ტალს შორის.

მ. ტალი—დ. კელერი

1. მ3 მf6 2. c4 e6 3. მc3 d5 4. d4 c6 5. ფg5 dc 6. e4 b5 7. a4 ლb6 8. ჯf6 gf 9. ჯe2 a6 10. 0—0 ჯb7 11. d5 cd 12. ed b4 13. ab ლc7 14. de bc 15. ფd4 ეg8 16. ლa4+ მფd8 17. g3 ჯd5 18. ეd1 მფc8 19. bc ჯc5 20. e7! მc6 21. ჯg4+ მფb7 22. cb5 ლe5 23. ეe1 ჯe4 24. ეab1 ე:g4 25. ე:e4 ლ:e4 26. მd6++ მფc7 27. მ:c4 ე:c4 28. ლd1! ეe5 29. ეb7+! მფ:b7 30. ლd7+ ფb8 31. e8ლ+ ე:e8 32. ლ:e8+ მფb7 33. ლd7+ მფb8 34. ლ:c6 შავები დანებდნენ.

ამრიგად, წინ არიან მ. ტალი (6,5 ქულა), რ. ფიშერს (5 ქულა და 2 გადადებული პარტია), პ. კერესსა და ს. გლიგორიჩს (5 ქულა თვითეულს).

ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება

31 მაისს თბილისში აღიმართება სპარტაკიადის ალამი, რომელიც 12 დღეს იფრიალებს, თითქმის ერთი თვის შემდეგ, 18 ივლისს „ესტაფეტა“ გადაეცემა ჩვენი ქვეყნის ნორჩ სპორტსმენთა ასპარეზობის უმაღლეს ეტაპს — მოსწავლეთა VI საკავშირო სპარტაკიადას, რომელიც მოსკოვში გაიმართება და 25 ივლისამდე გასტანს.

მაგრამ წლევანდელი სპორტული სეზონის სპეციფიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა მიმდინარე წლის სპარტაკიადათა უწყვეტ ჯაჭვშია მოქცეული. ესაა საგულისხმო ეტაპი იმ დიადი სპორტული დღესასწაულისა, რომელშიც ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხალხების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ესაა საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა — ჩვენი სამშობლოს სპორტული ძალების საზეიმო დათვალიერება. ასეთ პირობებში ნორჩთა ასპარეზობა კიდევ უფრო მკაფიოდ იძენს ახალ მნიშვნელობას. წელს იგი უნდა წარმოგვიდგეს როგორც საბჭოთა სპორტის მომავლის, ჩვენი სახელგანთქმული სპორტსმენების ღირსეული შემცვლელი თაობის, წელთა პერსპექტივაში ჩვენი ახალ-ახალი სპორტული გამარჯვებების სიმბოლო და საწინდარი.

სწორედ ამ ორგანული კავშირის ნიშნით მიმდინარეობს წელს ჩვენი სპორტსმენების ორი თაობის სადღესასწაულო ასპარეზობანი, რომლებმაც მოიცვეს მთელი ახალი სპორტული სეზონი — ადრეული გაზაფხულიდან ვიდრე შემოდგომამდე.

როგორც ნორჩების, ისე მოზრდილების გზა ერთ მიზნისკენ მიემართება — საბჭოთა კავშირის დედაქალაქისაკენ, რომელიც თანმიმდევრულად მიიღებს ჩვენი სპორტის მომავლისა და აწმყოს მხნე პატაკს დღევანდელ და ხვალინდელ გამარჯვებათა შესახებ.

სწორედ ამიტომ ეწოდება მიმდინარე წელს „სპარტაკიადების წელი“. ამ საფუძვლითაა გაპირობებული მოსწავლე-სპორტსმენთა წლევანდელი ასპარეზობის სპეციფიკურობაც და ის განსაკუთრებული პირობები, რომლებშიც ჩატარდება საქართველოს მოსწავლეთა XI სპარტაკიადა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის სირთულეს და თავისებურებას, ზემოაღნიშნულს გარდა, კიდევ რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი მათგანი საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა და აზრთა სხვაობას არ გამოიწვევს: გასულ წელს საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს მოსწავლე-სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ჩემპიონობა გაცილებით უფრო საპასუხისმგებლო და ძნელ ამოცანებს უყენებს ჩვენს ნორჩ სპორტსმენებს, ვიდრე წინა სპარტაკიადაზე. ჩემპიონის მაღალი ტიტულის შენარჩუნება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე თუნდაც ის გზა, რომელიც ჩვენმა მოსწავლეებმა გაიარეს 1957-58 წლებში. ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა საგანგებო მონდომებით და ენერგიით იბრძვის, ამასთან, განსაკუთრებულ მორალურ ფაქტორს წარმოადგენს რევანშის წყურვილი, რომელიც აუცილებლად აქვთ მოსკოვისა და უკრაინის კოლექტივებს.

ჩვენს წლევანდელ მზადებას სწორედ ეს ჰქონდა საფუძვლად: იმ 12 თასის შენარჩუნება, რომლებმაც ჩვენი საერთო გამარჯვება გამოსჭედეს, გულხელდაკრეფით არ მიიღწევა. მით უმეტეს, რომ გასული წლის შემდეგ ჩვენმა გუნდებმა ძირეული ცვლილებები განიცადეს — და ეს ჩვენი წლევანდელი სირთულის მეორე ფაქტორია.

წელს საქართველოს მოსწავლეთა სპორტულ დელეგაციას განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდება გამოსვლა იმის გამოც, რომ იგი წარსდგება სრულიად ახალი, ჯერ გამოუცდელი გუნდებით. სკოლადამთავრებულთა წასვლა გუნდებიდან წინა წლებში ისეთ

საუბარი განათლების მინისტრის მოადგილესთან ამხ. თ. ზახაშვილთან

ძტკივნეულ პროცესს არ წარმოადგენდა, ვინაიდან მაშინ გუნდებში რჩებოდა „გამობრძმედილ“ სპორტსმენთა 50 პროცენტი მაინც, რაც სავსებით უზრუნველყოფდა ახალი ძალების ორგანულ შემოერთებას და საერთო კლასის შენარჩუნებას. მაგრამ მოხდა ისე, რომ 1958 წელს ჩვენს რესპუბლიკაში სკოლა ერთდროულად დაამთავრეს როგორც XI, ისე X კლასებმა, ხოლო ამ პროცესს მოყვა მოსწავლეთა ნაკრები სპორტული კოლექტივების თითქმის სრული დაცლა. ამიტომ, წელს ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული ღირსების დაცვა ძირითადად ახალბედებს მოუხდებათ.

ამ გარემოებას ემატება ისიც, რომ წელს მნიშვნელოვნადაა შეცვლილი საკავშირო სპარტაკიადის ზოგიერთ სახეობაში მონაწილეობის პირობები: ცნობილია, რომ ჩვენს მოსწავლეებს უკვე 3-4 წელია უძლიერესის სახელი უპყრიათ ტანვარჯიშში. ეს მაღალი, სტაბილური შედეგი ძირითადად იმით იყო უზრუნველყოფილი, რომ მაღალი კლასის სპორტსმენთაგან შემდგარი ჩვენი გუნდი მთლიანად ოსტატობის პროგრამით გამოდიოდა და სირთულის ეს კოეფიციენტი დამსახურებისამებრ ინაზღაურებდა თავს მომატებული ქულებით. წელს დებულება იმგვარადაა შეცვლილი, რომ სირთულის კოეფიციენტს შეფასების დროს არავითარი უპირატესობა არ მოაქვს 1 თანრიგის ტანმოვარჯიშეებისათვის მოზარდთა თანრიგთან შედარებით, ხოლო სპორტის ოსტატის პროგრამით გამოსულთათვის ეს უპირატესობა იმდენად უმნიშვნელოა (0,1 ქულა), რომ ანგარიშში ჩასათვლელი არცაა. გამოდის, რომ ჩვენ წარვსდგებით უფრო მაღალი კლასის სპორტსმენებით, უფრო რთული პროგრამით, მაგრამ ეს თითქმის არავითარ უპირატესობას არ მოგვცემს მათს წინაშე, ვინც უფრო სუსტი მონაწილეებით და მარტივი პროგრამით გამოვა. შემდეგ — მიმდინარე წელს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე პირველად დაიშვებიან საღამოს სკოლების წარმომადგენლები. ეს თითქოს უბრალო ფაქტი გარკვეულ უპირატესობას სძენს ჩვენს სპორტულ მეტოქეებს — მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებს, რომლებიც სხვადასხვა სპორტულ საზოგადოებათა ძლიერი ძალებით შეივსებიან. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ რესპუბლიკებისაგან განსხვავებით ჩვენში მოსწავლეთა ასაკის სპორტსმენებთან მუშაობა თითქმის მხოლოდ განათლების სისტემის ხაზით წარმოებს და მთავარი ძალებიც მხოლოდ აქაა თავმოყრილი. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვშიშობთ, არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ამ სიძნელეების ჩამოთვლით ჩვენ ჩვენზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ვცდილობდეთ.

ჩვენ გამსჭვალული ვართ შეგნებით: რაც უფრო ძნელია მიზანი, მით უფრო სასახელო და მიმზიდველია ბრძოლა! ამ დევიზით მიმდინარეობს ჩვენი მუშაობაც. ამ დევიზს ექვემდებარება მოსწავლეთა XI რესპუბლიკური სპარტაკიადაც. ეს მიზნებია: რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში მოხდეს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ჩამოყალიბება და მზადება. ამდენად, წლევანდელ პირობებში რესპუბლიკურ სპარტაკიადას უფრო მეტად VI საკავშირო სპარტაკიადისათვის ძალთა გადარჩევის მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე საზეიმოსპორტული დემონსტრაციისა. ამანვე განაპირობა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარების ვადების გადმოწევა; მისი პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებანი სპორტის [illegible] ნახევრამდე ჯერ კიდევ საგაზაფხულო არდადეგების დროს მოგვწევა (ფრენბურთი, კალათბურთი); ხოლო დანარჩენ სეზონებში გუნდები პირველობას გაიათამაშებენ 12 ივნისამდე.

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაშია სპორტის 13 სახეობა: მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ველოსპორტი, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, ნიჩბოსნობა, ჩოგბურთი, წყალბურთი, წყალში ხტომა და სროლა. სპარტაკიადა ჩატარდება ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეადგენენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისისა და ქუთაისის კოლექტივები, ხოლო მეორე ჯგუფს — დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პირველ ჯგუფში შეჯიბრება სავალდებულოა სპორტის ყველა სახეობაში, ხოლო მეორე ჯგუფში — ამორჩევით, მაგრამ 3 სახეობა — (ტანვარჯიში, მძლეოსნობა და ფეხბურთი) სავალდებულოა, ხოლო ერთი — ნებისმიერი. მეორე ჯგუფში მონაწილე კოლექტივების შედეგები შეჯამდება ოთხ სახეობაში საუკეთესო მაჩვენებლების მიხედვით.

რესპუბლიკური სპარტაკიადის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის შექმნილია ყველა პირობა. კარგა ხანია მუშაობს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. გ. ჯიბლაძე. თავის უფლებებში შედის სპარტაკიადის მსაჯთა მთავარი კოლეგია. ბაზები, სასტუმროები, სათანადო ინსტანციები და დაწესებულებანი სრულ მზადყოფნაში ელიან ნორჩ სპორტსმენებს. ისინი არაფერს დაიშურებენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჩვენი სახელოვანი მოსწავლე-ახალგაზრდების მიერ ზემოაღნიშნული რთული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.



რესპუბლიკაში

ძველმა ჩემპიონმა შეინარჩუნა წოდება

დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ბათუმის საზოგადოებრიობა აჭარის II სპარტაკიადას. საზეიმოდ მორთული „დინამოს“ სტადიონი, ზღვისპირა პარკის ჩოგბურთის კორტები, სპორტსკოლის მოედანი, ფილარმონიის დარბაზი, „სპარტაკის“ სპორტული ბაზა, საწყლოსნო სადგური სავსე იყო სპორტის მოყვარულებით.

საწყლოსნო სადგურში პირადი პირველობისათვის იბრძოდნენ მოცურავეები. ქალთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა ე. ხაჩატურიანმა — 1.23,9, მანვე მოიგო 100 მეტრზე ზურგზე ცურვა შედეგით — 1.47,1.

ორი პირველი ადგილი მოიპოვა ვ. რიდლინსკიმ: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 1.07,0 და ზურგზე ცურვაში 100 მეტრზე — 1,16,5.

იგივე დისტანცია ბრასის სტილით ყველაზე სწრაფად გაცურა სპორტის ოსტატმა ა. ანტონიანმა — 1.20,8. ამავე სახეობაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ლ. ვოზიკოვა. სულ ცურვაში ნაჩვენები იქნა 3 მეორე, 14 მესამე და 3 მოზარდთა თანრიგის შედეგი.

გუნდურ ჩათვლაში აჭარის სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბათუმის კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქობულეთის რაიონის, ხოლო მესამეზე — ბათუმის რაიონის სპორტსმენები.

ო. მურმანიძე

მეშვიდე ჯრადიციული

ერთ თვეს გრძელდებოდა გორის VII ტრადიციული საქალაქო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა ქალაქის 24 ფიზკულტურული კოლექტივის 1500-მდე სპორტსმენი.

შეჯიბრება ჩატარდა ორ ჯგუფად. I ჯგუფში შედიოდა სპორტის 13 სახეობა, ხოლო II ჯგუფში — 7.

I ჯგუფში ქალაქის ჩემპიონი გახდა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბამბეულის კომბინატის სპორტსმენები, ხოლო მესამეზე — სპორტული სკოლის წარმომადგენლები.

II ჯგუფში პირველ ადგილზეა IV საშუალო სკოლის კოლექტივი.

ა. ტაბატაძე

სპორტის 15 სახეობაში

დამთავრდა რუსთავის II საქალაქო სპატაკიადა, რომელშიც ასობით ახალგაზრდა მეტალურგი, ქიმიკოსი, მეცემენტე, მშენებელი და ქალაქის სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ჯგუფში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს მეტალურგიული ქარხნის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე არიან მშენებლები, ხოლო მესამეზე — აზოტოვანი სასუქების ქარხნის წარმომადგენლები.

II ჯგუფში პირველ ადგილზეა ავტომატიკის ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი.

თუ თვალს გადავავლებთ სპარტაკიადის ზოგიერთ მონაცემებს, დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული ღონისძიება გაცილებით მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარდა, ვიდრე I საქალაქო სპარტაკიადა. შეჯიბრებები მიმდინარეობდა სპორტის 15 სახეობაში. ხუთმა სპორტსმენმა შეასრულა I თანრიგის, 36-მა II, 107-მა III თანრიგის ნორმატივი.

რ. ხარატი

უძლიერესი იყო „ბურევესტნიკი“

მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის სპარტაკიადის პროგრამით. პირველი ადგილი დიდი განსხვავებით დაიკავა „დინამომ“. მეორე ადგილის პრეტენდენტები იყვნენ „ბურევესტნიკისა“ და „განთიადის“ ტანმოვარჯიშეები. სტუდენტმა სპორტსმენებმა მცირე განსხვავებით აჯობეს მოწინააღმდეგეს.

პირად ჩათვლაში ოსტატ ქალთა შორის 71,85 ქულით გაიმარჯვა მ. მდივანმა („ბურევესტნიკი“). მომდევნო ადგილებზე არიან ვ. კლიმოვა („განთიადი“) — 71,3 ქულა და ლ. სალაღიშვილი („სპარტაკი“) — 70,5 ქულა. ცალკეულ იარაღებზე პირველი ადგილები დაიკავეს მ. მდივანმა, ლ.შიროკაიამ, ა. მარიამიძემ და ლ. გელუკაშვილმა.

ვაჟთა შორის უძლიერესი იყო „განთიადის“ წევრი ი. კოვალიოვი — 109,65 ქულა. შემდგომი ადგილები დაიკავეს ბ. იაგუტოვმა („სპარტაკი“) და დ. კობახიძემ („დინამო“) აღსანიშნავია, რომ მეორე ადგილზე გამოსულმა ბ. იაგუტოვმა („სპარტაკი“) შეასრულა ოსტატის ნორმა. ცალკეულ იარაღებზე გამარჯვება მოიპოვეს ი. კოვალიოვმა, ი. ამაშუკელმა, გ. გრომოვმა. საინტერესოა ითქვას, რომ ი. ამაშუკელმა ნებისმიერ ბჯენით ხტომაში მიიღო უმაღლესი შეფასება — 10 ქულა.

თ. ჟუჩუკიძე

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 64 (1890)

მასპინძელთა აშკარა უპირატესობით

როგორც ცნობილია, 25 ივნისს ნიუ-იორკში გაიმართება პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე მძიმე წონაში. ამერიკელ ზანგს ფ. პეტერსონს ამ წოდების დაცვა მოუხდება შვედ ი. იოჰანსონთან ბრძოლაში. ცნობამ იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჩემპიონობა შეიძლება მოიპოვოს შვედმა მოკრივემ, ამ ქვეყნის კრივის პრესტიჟი საკმაოდ მაღლა ასწია მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის თვალში.

ევროპის პირველობაზე კრივში შვეციამ არ გაგზავნა მთლიანი გუნდი, ვინაიდან არ ჰქონდა დიდი წარმატების იმედი. 3-4 შვედი მოკრივე, რომლებიც ჩემპიონატში გამოდიოდნენ, იყო ალბათ ის მაქსიმუმი, რისი იმედიც ჰქონდა შვეციას, მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია უკვე არა პროფესიონალურ, არამედ სამოყვარულო კრივზე.

ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვია შვეციის სამოყვარულო კრივის კიდევ ერთი ნაწილი — მუშათა სპორტული კლუბის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ შვეციის პირველობის პრიზიორები, სტოკჰოლმის ჩემპიონები, მრავალი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილენი და ამავე დროს ახალგაზრდა მოკრივეები. სკანდინაველმა სტუმრებმა ამხანაგური მატჩი ჩაატარეს საქართველოს „სპარტაკის“ ნაკრებ გუნდთან. შეხვედრის შედეგი — 8:1 საქართველოს მოკრივეთა სასარგებლოდ, ნათლად მეტყველებს გუნდების ძალთა შეფარდებაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ქვემძიმე წონაში შვედ ესტერგერნს საეჭვო გამარჯვება მიაკუთვნეს ე. კონიაკინზე, მასპინძლებს აშკარა უპირატესობა ჰქონიათ სტუმრებზე. და ეს ასეც იყო.

აღნიშნული შეხვედრისთვის ჩვენი მოკრივეები კარგად მოემზადნენ. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს შ. ხუდოიანმა, ზ. მაჭავარიანმა, ზ. კოზაევმა და ი. მელაძემ. მელაძის მოწინააღმდეგემ, შვეციის სამგზის ჩემპიონმა კ. ბორგსტრემმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ნოკაუტით არ წაეგო ბრძოლა, მაგრამ ორ ნოკდაუნს ვერ გაექცა.

შინაარსიანად ჩაატარა ბრძოლა ზ. კოზაევმა დ. ანდერსონის წინააღმდეგ. იგი კარგად მოძრაობდა რინგზე და დროულად ცვლიდა ახლო ბრძოლას დისტანციურზე. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ზ. მაჭავარიანმაც ა. ულსონის წინააღმდეგ. [illegible] — ოერ დარტყმას აყენებდა მოწინააღმდეგის კორპუსში, რასაც [illegible] ეხეხ. როდ, ჩვენი მოკრივეები უკანასკნელ ხანებში იშვიათად მიმართავენ. შვედი მესამე რაუნდში აშკარად დაიღალა. იგი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში და შეხვედრა ქულებით წააგო. დანარჩენ ბრძოლებში ი. შეპეტკოვმა მოუგო კ. ფერმს, შ. ხუდოიანმა — ი. ჰენრიკსონს, გ. მუხაძემ — კ. ელმს, თ. გუჯაბიძემ — დ. ჰეტბერგს.

ნ. ახვლედიანი

საფეხბურთო მინდვრებზე



მოსკოვის „დინამო“— ჩემპიონობის ღირსეული კანდიდატი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 29 მაისი.

„დინამო“ (თბილისი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 1:3 (1:2).

მოსკოვი: იაშინი; კესარევი, ცარიოვი, ბ. კუზნეცოვი; სოკოლოვი, კოროლენკოვი; ურინი, ფედოსოვი, ი. კუზნეცოვი, ჩისლენკო, შაპოვალოვი.

თბილისი: კვაჭაძე; სოტკილავა, ჩოხელი, უსტაბაშიდი; კოტრიკაძე, ზეინკლიშვილი; მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

სტატისტიკას ფეხბურთში გარკვეული მნიშვნელობა აქვს და თუ გადავხედავთ მოსკოვისა და თბილისის დინამოელების შეხვედრათა ისტორიას, მოსკოველებს აბსოლუტური უპირატესობა აქვთ ჩვენს გუნდთან: 25 მოგება, 6 ფრე და მხოლოდ 4 დამარცხება. შედარებით უკეთესი შეფარდება გვაქვს თასის გათამაშებაში—2:3.

წელს მოსკოვის დინამოელები საუკეთესო ფორმაში იმყოფებიან და რეალური პრეტენზიები აქვთ ჩემპიონის წოდების მოპოვებისათვის. განვლილმა მატჩმა ცხადად დასელჰყო, რომ ეს პრეტენზიები საფუძვლიანი და კანონიერია — მოსკოვის „დინამო“ ამჟამად საუკეთესო გუნდია „ა“ კლასში.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა პირველი ბურთი მიიღეს თავიანთ კარში მატჩის დასაწყისშივე კალოევის შესანიშნავი გარღვევის შემდეგ, მათი საბრძოლო მექანიზმი მუშაობდა ყოველგვარი ფერხებისა და შეცდომის გარეშე.

მოსკოველთა გეგმა ნათელი იყო და მოსალოდნელიც. ორი ახალი მოთამაშე მოწინააღმდეგის დაცვაში მათთვის შეტევის მთავარ პუნქტებს წარმოადგენდა და გამარჯვების გასაღებიც სწორედ გარემარბებს ებარათ — ურინსა და შაპოვალოვს. პირველ ხანებში მასპინძელთა დაცვაში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მე-13 წუთზე ურინი უდიდესი სისწრაფით გაიჭრა კარისკენ, ზედიზედ ჩამოიტოვა უკან უსტაბაშიდი, ჩოხელი და ძლიერი დაბალი დარტყმით გაქვითა გოლი—1:1.

მოსკოველთა შტურმი ხანმოკლე, მაგრამ მეტად მძაფრი და ეფექტური იყო. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ურინმა კვლავ მოიგო „სპრინტი“ თავის ფრთაზე და დაუყოვნებლივ გადასცა ბურთი ცენტრში. კვაჭაძე გაუანგარიშებლად გამოვიდა კარიდან და ფედოსოვმა თავით ზუსტად გადაუგდო მას ზეკიდან ბურთი—2:1.

თბილისელებმა ადგილები შეუცვალეს განაპირა მცველებს და თამაში კვლავ გადაიტანეს მოპირდაპირე ნახევარზე. იამანიძე, ბარქაია და მესხი ხშირად უტევდნენ იაშინის კარს, კალოევი სისტემატურად უგებდა ბრძოლას ცარიოვს, თავდასხმას აქტიურად ეხმარებოდა ზეინკლიშვილი და ლიდერის მთელი დაცვა სრული დატვირთვით მუშაობდა ამ განუწყვეტელი იერიშების უვნებელყოფისათვის. რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო იაშინმა, ზედიზედ იქნა მოწოდებული კუთხური საჯარიმოები, მაგრამ მოსკოვის „დინამოს“ დაცვამ გაუძლო ამ დაწოლას და შეინარჩუნა ანგარიში.

მეორე ტაიმის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს — იგი მთლიანად მოსკოველებისა იყო. მათს უპირატესობას ფლანგებზე დაემატა ისიც, რომ ი. კუზნეცოვი ხშირად გადიოდა თავისი ზონიდან და კომბინაციურ თამაშს ქმნიდა დანარჩენ ფორვარდებთან ერთად. რაც შეეხება დაცვას, აქ მოსკოველებმა მოაწესრიგეს პირველი ტაიმის „გაუგებრობანი“: კესარევმა ზუსტად ამოიცნო მესხის ფინტები და მშვიდად იგერიებდა მათ, უკეთესად ითამაშა ცარიოვმა, მეტი სითავისუფლე მიეცა ნახევარდაცვას. ყველაფერი ამის შედეგად მოედანს მთლიანად დაეპატრონენ მოსკოველები და მათ მიერ გატანილი მესამე გოლი (შაპოვალოვი) ამ უპირატესობის ლოგიკური დასასრული იყო.

ჩემპიონობის მთავარმა კანდიდატმა დამსახურებულად მოიგო მატჩი — 3:1.

ბ. ქორქია

* * *

საუკეთესოდ ჩაატარეს თბილისის „დინამოს“ დუბლიორებმა მატჩი მოსკოველთა წინააღმდეგ და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 2:1.

* * *

თბილისის „დინამოს“ თავდასხმას უნარიანად ლიდერობს ცენტრფორვარდი ზ. კალოევი, რომელმაც მაღალ დონეზე ჩაატარა გათამაშების ყველა მატჩი.

სურათზე: ზ. კალოევი გადის ვ. ცარიოვთან ბრძოლაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ცვლილებანი კალენდარში

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებასთან დაკავშირებით, მწვრთნელთა საბჭოს წინადადებით „ა“ კლასის გუნდების პირველი წრის გათამაშების კალენდარში შეტანილია ცვლილებანი.

სკვო (როსტოვი)-„ტორპედო“ (მოსკოვი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი) ითამაშებენ **8 ივნისს.**

14 ივნისს ერთმანეთს შეხვდებიან „ტორპედო“ (მოსკოვი)-„შახტიორი“ (სტალინო).

4 ივლისს თამაშობენ „მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი).

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 31 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	7	6	1	0	15:4	13
სკვო	7	3	3	1	14:9	9
„ზენიტი“	7	3	3	1	11:9	9
„ლოკომოტივი“	7	3	2	2	12:7	8
ცსკ მო	7	3	2	2	7:7	8
„ტორპედო“	6	3	1	2	6:3	7
„მოლდოვა“	7	2	3	2	7:12	7
„სპარტაკი“	7	1	4	2	7:6	6
„დინამო“ თბ.	7	2	2	3	10:13	6
„შახტიორი“	7	1	2	4	7:13	4
„კრ. სოვეტოვი“	6	1	1	4	7:10	3
„დინამო“ კ.	7	0	2	5	7:17	2

* * *

ლენინგრადი. 28 მაისი. აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

„ზენიტმა“ განიცადა პირველი მარცხი — 1 : 4.

* * *

მოსკოვი. 28 მაისი. ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და „მოლდოვა“ (კიშინიოვი).

„სპარტაკმა“ მოიპოვა პირველი გამარჯვება — 4 : 0.

* * *

მოსკოვი. 29 მაისი. კიევის „დინამო“ მორიგ მატჩში შეხვდა ცსკ მო-ს.

თამაში მოიგეს არმიელებმა — 3 : 0.

* * *

როსტოვი. 30 მაისი. ადგილობრივმა სკვო-მ მიიღო „შახტიორი“ (სტალინო).

მატჩი მოიგეს როსტოველებმა — 4 : 2.

დანაშაული და სასჯელი

ეს მოხდა თბილისის სკვო-სა და ეროვნებადის „ტექსტილშჩიკის“ ფეხბურთელთა გუნდების მატჩში საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის III ზონაში.

მაყურებელთაგან შეიძლება ბევრმა ვერც კი მოჰკრა თვალი, თუ როგორ წაეჩხუბა თბილისელთა კაპიტანი ა. ნორაკიძე თავისივე გუნდის წევრს ა. ხელაძეს. ჩხუბის მიზეზი სრულიად უმნიშვნელო იყო: მოთამაშეები ერთმანეთს წაეკამათნენ ბურთის მიწოდების თაობაზე, მაგრამ ეს წაკიდება დამთავრდა იმით, რომ ნორაკიძემ ხელიც კი ჰკრა თავის ამხანაგს.

თბილისის ცენტრალურ სტადიონზე, მატჩში სსრ კავშირის პირველობაზე, აუარებელი მაყურებლის თანდასწრებით გუნდის კაპიტანმა ხელი შეახო თავის პარტნიორს. ეს დიდი დანაშაულია. დიდი დანაშაულია განსაკუთრებით იმიტომ, რომ მისი „ავტორია“ გამოცდილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი, რომელსაც მაყურებელი იცნობს და პატივს სცემს მისი გაბრეგული, ჭკვიანური თამაშისათვის.

ა. ნორაკიძე ახალბედა არ არის სპორტში. იგი თამაშობდა თბილისის „სპარტაკში“, თბილისის „დინამოში“, მონაწილეობა მიუღია საერთაშორისო შეხვედრებში და აი ამ მრავლისმნახველმა, გამობრძმედილმა ფეხბურთელმა ჩაიდინა ასეთი უწესო საქციელი ზედ შუა მინდორზე, თუ შეიძლება ითქვას, სწორედ თავის მოვალეობათა აღსრულების დროს.

ამ ინციდენტის შემდეგ არმიელთა განაწყენებულმა კაპიტანმა დოინჯი შემოიყარა მრავალრიცხოვან მაყურებელთა წინაშე და დემონსტრაციულად გამოეთიშა თამაშს. მის გარშემო მოძრაობდა ბურთი, დარბოდნენ თავისიანი და მოწინააღმდეგე მოთამაშენი, მიმდინარეობდა ბრძოლა, ნორაკიძე კი იდგა და შეცვლას მოითხოვდა.

ა. ნორაკიძის ამ არასპორტული საქციელის შესახებ არმიელთა კოლექტივმა იმსჯელა თამაშის მეორე დღესვე. გუნდის წევრები გამოდიოდნენ და კიცხავდნენ ამხანაგს ჩადენილი დანაშაულისათვის, უსაყვედურებდნენ მას თავდაუჭერლობას, მეგობრებისა და მაყურებლებისადმი უპატივცემლობას.

ეს იყო ერთგვარი ამხანაგური სამსჯავრო. კრებამ გადაწყვიტა მოიხსნას ა. ნორაკიძე გუნდის კაპიტნობიდან, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და თუ მის მხრივ კიდევ ექნება ადგილი დისციპლინის დარღვევის შემთხვევას, ჩამოერთვას სპორტის ოსტატის წოდება და მიეცეს სამუდამო დისკვალიფიკაცია.

ა. ნორაკიძემ აღიარა და შეიგნო თავისი საქციელი. გარდა იმისა, რომ მოინანია დანაშაული აღნიშნულ კრებაზე, მან გადაწყვიტა რედაქციისათვის მიემართა წერილით, რომლის ტექსტსაც აქ ვაქვეყნებთ.

პატივცემულო რედაქცია!

ა. წ. 26 მაისის მატჩში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მე ჩავიდინე არასპორტული საქციელი, რომლის სიმძიმე სრულად მაქვს შეგნებული.

ჩვენი გუნდის კრებამ იმსჯელა ამის შესახებ და სათანადოდ დამსაჯა, მაგრამ მე მინდა საჯაროდ, სპორტული გაზეთის საშუალებით მოვიხადო ბოდიში როგორც ჩემი ამხანაგების, ისე მაყურებლების წინაშე, ვალიარო დაშვებული შეცდომა და დავდო სიტყვა, რომ ჩემს მხრივ მსგავს საქციელს მომავალში არასოდეს არ ექნება ადგილი.

ა. ნორაკიძე

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 64 (1390)



ქუთაისელი სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს II სპარტაკიადისათვის. **სურათებზე:** მარცხნივ — ნიჩბოსნები დისტანციაზე, მეორეთანრიგოსნები ვ. ილჩინსკი და ვ. აფაკელა მორიგი მეცადინეობის დროს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

პროფესიონალიზმი და ოლიმპიური თამაშები

მელბურნის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ლოზანაში შედგა ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო კომიტეტის სხდომა. კომიტეტის წევრები შეიკრიბნენ, რათა შეეჯამებინათ გასული ოლიმპიადის შედეგები და ემსჯელათ მომავალი თამაშების შესახებ, ვინაიდან მელბურნის შემდეგ მრავალი საადავო პრობლემა წამოიჭრა, რომლებიც გადაჭრას მოითხოვდნენ.

ერთი ყველაზე სერიოზული საკითხი ასეთი იყო: შეძლებს თუ არა მომავალი ოლიმპიადა პროფესიონალიზმზე უპირატესობის მოპოვებას? კომიტეტის ყველაზე გავლენიანი წევრები ამ კითხვაზე უარყოფითად პასუხობდნენ.

აზრთა სხვადასხვაობის არსებითი ძხარე მდგომარეობდა იმაში, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ ოლიმპიურ თამაშებზე გაგზავნა ისეთი ძლიერი სპორტსმენები, რომ ბევრი რეკორდი დამსხვრეულ იქნა. ამის შედეგად წარმოიშვა ეჭვი, რომ ბუნებრივ შესაძლებლობათა ადგილი დაიკავა ფსიქოლოგიური ფენომენის ერთგვარმა სახემ. კომიტეტის წევრები იზიარებდნენ იმ აზრს, რომ სპორტსმენთა დიდი ნაწილი თვეობით და წლობითაც კი სისტემატურად ვარჯიშობენ, რითაც არღვევენ სამოყვარულო სპორტის სტატუსს, რამაც გამოიწვია ის, რომ ოლიმპიური თამაშები ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობათა საზეიმო დემონსტრაციიდან გადაიქცა საგანგებო და მეცნიერულად ჩამოყალიბებულ შეჯიბრებად. ამასთან ცნობილი გახდა, რომ ბევრი სპორტსმენი „საბრძოლო განწყობის“ ასაწევად სანაზღაურო გასამრჯელოს ღებულობდა, რაც შეუთავსებელია ოლიმპიური თამაშების იდეასთან.

ამ დისკუსიამ მეტად მკვეთრი ხასიათი მიიღო. სახელდობრ, სოციალისტურ ქვეყნებს უსაყვედურებდნენ, რომ ისინი ოლიმპიურ თამაშებზე გზავნიან სპორტსმენებს, რომლებიც სპორტის გარდა თითქოს არავითარ სხვა საქმიანობას არ ეწევიან და ამიტომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნან სამოყვარულო სპორტის წარმომადგენლებად. ამ კრიტიკის საწინააღმდეგოდ გამოითქვა აზრი, რომ აშშ-ში მხოლოდ ფორმის გულისთვის იღებენ ზანგ სპორტსმენებს უნივერსიტეტებში, სინამდვილეში კი ისინი მხოლოდ სპორტულ წვრთნას ეწევიან და რასიული დისკრიმინაცია აქ მაშინ იწევს უკანა პლანზე, როცა რომელიმე განსაკუთრებული უნარის მქონე შავკანიანი სპორტსმენი ამ ქვეყნის სახელით გამოდის.

მაგრამ ოლიმპიური თამაშების ძველი იდეის მკაცრი დაცვა მარცხს განიცდის იმის გამო, რომ ოლიმპიურ თამაშებს აქვეითებს საშუალო დონის სპორტსმენთა შეჯიბრების დონემდე. მძლეოსნობასა და საწყლისნო სპორტში გამარჯვებულთა გამოკლებით ოლიმპიური მიღწევები არ აღემატება სხვადასხვა სპორტულ გაერთიანებათა საერთო დონეს. მაგალითად, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი კრივში, ფეხბურთსა და ავტო-მოტო-ველო სპორტში გამარჯვებული გამოსულიყო მსოფლიო ჩემპიონთან ბრძოლაში.

ეს არის ოლიმპიური თამაშების მთავარი პრობლემა, რომელიც გადაჭრას მოითხოვს. ბევრია ქვეყანა, რომელიც ოლიმპიადაზე აგზავნის საუკეთესო სპორტსმენებს — ნაწილდვილ მოყვარულებს, სხვებს კი არ შეუძლიათ გააგზავნონ უძლიერესი სპორტსმენები, ვინაიდან ისინი პროფესიონალები არიან, ანუ, რომ, ოლიმპიადებზე ერთმანეთს არ ხვდებიან სპორტის ამა თუ სახეობის საუკეთესო წარმომადგენლები.

რასაკვირველია, ძნელია მივაღწიოთ ერთიან აზრს, ვინაიდან სპორტული ორგანიზაციებისათვის სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პირობები არსებობს. მაგრამ უეჭველია, რომ ოლიმპიური თამაშების საკითხი მთლიანად ხელახლა უნდა იქნას განხილული. შეიძლება 1960 წელს რომში აღგილი ეძლევა ძველი ეპოქის დასასრულს ან ახლის დასაწყისს ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

ა. ცამციშვილი

ფეხბურთი დღეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მასობრივი და პოპულარული თამაშია, მაგრამ როგორ იყო წინათ, XX საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოში პირველად იკიდებდა ფეხს სპორტის ეს სახეობა?

თუ საიდან და როგორ შემოიჭრა საქართველოში იგი, ამის შესახებ ზოგიერთი ცნობა უკვე გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთებში. ამჯერად კი ახლად აღმოჩენილ ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით აღვწერთ იმ პირობებსა და გარემოს, რომლებშიც პირველად ჩაისახა ფეხბურთი თბილისში.

თუმცა თბილისელებმა ფეხბურთზე ზოგი რამ იცოდნენ და ელემენტარული წარმოდგენაც ჰქონდათ, მაგრამ 1906 წლამდე სპორტის ამ სახეობას არავინ მისდევდა. ზოგჯერ ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ წევრები გართობის ან ექსპერიმენტის სახით თუ შეეხებოდნენ ბურთს და მაღლა დარტყმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

1906 წლის ივნისში თბილისის ველოტრეკზე ნ. ი. ლგოტაკმა ჩამოაყალიბა პირველი, თუმცა არაოფიციალური, ბურთის ფეხით მოთამაშეთა პატარა წრე. გუნდის ხელმძღვანელად და კაპიტნად არჩეული იქნა მ. ნ. გომერი. სპორტულ ფორმად მიღებული წვივსახვევებში ჩატნეული სქელი ტილოს თეთრი შარვალი, პერანგის მსგავსი შავი მაისურები, ზემოდან სქელი, უსახელურო ყვითელი წამოსასხამით მოძრაობის შეზღუდვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ბუცების მაგივრობას ტლანქი წაღები, ხოლო საწვივეს— ყავის პაჭიჭები ასრულებდნენ. ფეხბურთის მოყვარულთა წრის წევრები ყოველთვიურად ერთ მანეთს იხდიდნენ. სიცხის გამო თამაშებს კვირაში ორჯერ აწყობდნენ და იმასაც საღამოს 9 საათიდან ელექტრონის შუქზე.

მ. ნ. გომერის გარდაცვალების შემდეგ წრეს სათავეში ჩაუდგა თბილისის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ წევრი ა. ა. ელზენგერი, მან ინგლისურიდან თარგმნა ფეხბურთის თამაშის წესები, რომელსაც ვერ მივაგენით. ზაფხულის დღეებში ლგოტაკის ველოდრომზე ველოსიპედისტთა ხშირი შეჯიბრებების გამო შეუძლებელი გახდა ფეხბურთის თამაში, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ სხვაგან მოეძებნათ მოედანი. ფეხბურთის პირველმა წრემ ლგოტაკის ველოტრეკზე სექტემბრამდე იარსება, ნოემბერში კი უფლება მიიღო უსასყიდლოდ ესარგებლა დიდუბის იპოდრომით, სადაც ოთახიც კი დაუთმეს.

1907 წლის 1 იანვრისათვის ფეხბურთის მოყვარულთა წრეში 18 წევრი და 5 დამსწრე ირიცხებოდა. მაგრამ ხელისუფლებამ მოითხოვა წრის ოფიციალური გაფორმება, წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხბურთელებს აეკრძალათ არამც თუ ბურთის თამაში, არამედ თავშეყრაც კი. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდში აღმოჩნდა საქმე, რომელიც თბილისში ფეხბურთის პირველი ოფიციალური გუნდის ჩამოყალიბების ისტორიისათვის შეიცავს ზუსტ და მეტად საინტერესო ცნობებს.

ეს საქმე ეკუთვნის თბილისის გუბერნატორის კანცელარიის საერთო განყოფილებას და იწოდება: „კოლეჯის ასესორის ა. ა. ელზენგერისა და სხვა პირთა შუამდგომლობა თბილისში ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრის დაარსების შესახებ“. საქმეში ჩაკერებული მიმოწერა დაწყებულია 1906 წლის მიწურულში და დამთავრებულია 1907 წელს.

როგორც ამ საქმიდან ჩანს, თბილისში ფეხბურთის მოყვარულთა წრის ჩამოყალიბების ორგანიზატორებს თბილისის გუბერნიის მმართველობისათვის მიუმართავთ განცხადებით, რომელშიც უთხოვიათ ფეხბურთის ოფიციალური გუნდის შექმნის ნებართვა. განცხადების პასუხად ფეხბურთის ენთუზიასტებს 1907 წლის 12 იანვრით დათარიღებული შემდეგი პასუხი მიიღეს:

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უცხოეთთან მმოწერის კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის მდივანს კოლეჯის ასესორს ადოლფ ადოლფისძე ელზენგერს, კბილის ექიმს იური ანდრეის-ძე გეინეს, დამზღვევი საზოგადოება „რუსეთის“ მოსამსახურე ალექსანდრე კარლოსძე გაიზეს, გრამოფონის კომპანიის მუშაკს თედორე მანუკას-ძე კორტუმს, განცხადებაზე: — თბილისში „კომეტის“ სახელწოდებით „ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრის“ ჩამოყალიბების შესახებ გუბერნიის მმართველის დავალებით ეცნობოთ, რომ აღნიშნული სახელწოდებით ორგანიზაციის ჩამოყალიბების განზრახულობა, მისი ფუნქციები, მართვის წესები და საერთოდ მისი არსებობა, როგორც ხსენებული განცხადებიდან ჩანს, განპირობებულია მთელი რიგი წესებით და ამასთანავე ერთად რადგან ამ „წრეს“ თავის განკარგულებაში ექნება განსაზღვრული კაპიტალი და ქონება, წრე შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ საზოგადოებებისა და კავშირების 1906 წლის 4 მარტის დროებითი წესების 20-25 მუხლებიდან გამომდინარე სანქცირებით ანუ სათანადო წესების გამომუშავებისა და გუბერნიის საზოგადო საქმეთა საკრებულოში „წრის“ რეგისტრაციის შემდეგ“.

(გაგრძელება იქნება)

1964 წელი—ტოკიო

მიუნხენი. (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა). 25 მაისს აქ შედგა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია, სადაც განხილულ იქნა საკითხი 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ადგილის შესახებ.

ამ ოლიმპიადის ორგანიზაციის უფლებისათვის პრეტენზიები წამოაყენეს ტოკიომ, დეტროიტმა, ვენამ და ბრიუსელმა, ხოლო ზამთრის თამაშებზე — ინსბრუკმა (ავსტრია) და კალგარიმ (კანადა).

ხმის უმრავლესობით გადაწყდა, რომ 1964 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ჩატარდეს იაპონიის დედაქალაქში. ამავე წლის ზამთრის თამაშები მოეწყობა ინსბრუკში.

გრძელდება საქართველოს პირველობა ფეხბურთში.

სამტრედიაში შედგა მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და ქუთაისის „იმერეთს“ შორის. პირველ ტაიმში ორივე გუნდი თამაშობდა მონდომებით და ენერგიულად, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. შესვენების შემდეგ რკინიგზელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0.

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა თავის მინდორზე მიიღო ბათუმის „დინამო“. ანგარიში პირველი ტაიმის დასასრულს გახსნეს მასპინძლებმა, მაგრამ მეორე ტაიმში „დინამომ“ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1 : 1.

ფოთში თამაშობდნენ „განთიადი“ (ფოთი) — „დინამო“ (ქუთაისი). მატჩი დაიწყო მასპინძელთა განუწყვეტელი იერიშებით და „განთიადის“ ეს უპირატესობა არ შენელებულა თამაშის ბოლომდე. ფოთელებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 4 : 0.

სამტრედიის „ლოკომოტივს“ მეორე შეხვედრა ჰქონდა თბილისში, 26 კომ. სახ. რაიონის გუნდთან. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ანგარიშით 2:0 მოიპოვეს ლოკომოტიველებმა.

საინტერესო მატჩი შედგა რუსთავში ჭითურის „მაღაროელსა“ და ადგილობრივ „მეტალურგს“ შორის. მასპინძლებმა მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3 : 2.

რედაქტორი ი. უგულავა

მოსწავლეთა ფორის ფეხბურთში ფინალური შეჯიბრები და საქართველოს სსრ სპარტაკიადის ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში და III ჯგუფებისათვის დაიწყება 21 ივნისს, ნაცვლად 7 ივნისისა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ყლბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელ...
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02664